ხელშეკრულება N 21

ქ. წყალტუბო 24 იანვარი 2024 წელი

ერთი მხრივ, ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „საბავშო ბაღების გაერთიანება " წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. წყალტუბო , ვაჟა ფშაველას N1
საიდენტიფიკაციო კოდი: № 221281636
ტელეფონის ნომერი: 599 280251
საბანკო რეკვიზიტები: ფინასთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:

და მეორე მხრივ, შპს ,, როკო ' წარმოდგენილი მისი დირექტორის რომან კვიცარიძის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ.წყალტუბო , წერეთლის N11
საიდენტიფიკაციო კოდი: 4 2 1 2 7 0 8 6 8
ტელეფონის ნომერი: 591 311 151
საბანკო რეკვიზიტები: სს, საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000882095300

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", (საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება)) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი
1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს : ელექტრომოწყობილობები და აპარატურა (შემდგომში - საქონელი).
2.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 31500000

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
1,ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **9000** (ცხრათასს) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3 . მიწოდების ვადა და ადგილი
3.1. საქონლის მოწოდების ვადა – ხელშეკრულების დადებიდან 2024წლის 31 დეკემბრის ჩათვლით .
3.2. მიწოდების ადგილი – ქ. წყალტუბო ვაჟა ფშველას N1 .

მუხლი 4 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია პროდუქციის შესყიდვის პარალელურად მოახდინოს საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული პროდუქციის ნაწილის და წუნდების მიზეზებს
4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.5. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და შესყიდვის ობიექტის მიღებაზე კონტროლს ახორციელებს თანამშრომელთა ჯგუფი .
4.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.
5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი 1 დღის ვადაში.

მუხლი 6. ანგარიშსწორება და ვალუტა
6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მისი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
7.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 8 მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: პროდუქციის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს პროდუქციის ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 9 . ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი (მისაწოდებელი) საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. საჯარიმოში სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

მუხლი 12 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2025 წლია 1 მარტის ჩათვლით.

მუხლი 13 . სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	Union of Kindergartens of Tskaltubo Municipality	Digitally signed by Union of Kindergartens of Tskaltubo Municipality Date: 2024.01.24 15:43:05 +04'00'
მიმწოდებელი :	romani kvicaridze	Digitally signed by romani kvicaridze Date: 2024.01.24 13:14:47 +04'00'

ინვოისი #1

დასახელება :	დასახელება:
საქონლის გამცემი	საქონლის მიმღები
421274873	221281636
„შპს როკო	„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

მისამართი; წერეთლის 11

ბანკი: „საქართველოს ბანკი“/ ანგარიში: GE02BG0000000882095300

#	საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა (ლარში)	შენიშვნა
1	ნათურა 9 ვტ	ცალი	1	5.5		
2	ნათურა 11 ვტ	ცალი	1	7		
3	ნათურა 15 ვტ	ცალი	1	9		
4	ნათურა 20 ვტ	ცალი	1	12		
5	ნათურა 100	ცალი	1	1.5		
6	ნათურა 60	ცალი	1	1.5		
7	პანელი 18 ვტ მისადგმელი	ცალი	1	22		
8	პანელი 18 ვტ ჩასასმელი	ცალი	1	18		

#		
	საქონლის გამცემი:	ხელმოწერა:
	საქონლის მიმღები:	ხელმოწერა:
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		

421270868
GEORGIA, LTD "ROKO"